

— ცნობა—ბერძნებს დაპყრობილი ოლქებიდან თავისი ჯარი გაყავთ. დიდი სახელმწიფოების გადაწყვეტილების თანახმად ოლქებს აღიზანეთს აძლევენ.

— ბერლინში მრავალი გამოჩენილი ეკონომისტისა და მრეწველის მონაწილეობით დაარსდა მსოფლიო მეურნეობის საზოგადოება.

— პარიზში დეპუტატთა პალატაში ჯარის სასანიტარო მდგომარეობის შეკითხვის განხილვის განაგრძობენ, სამხედრო მინისტრის სიტყვა ყველა შემარტყენებ ტაშით დაჯილდოვდა.

— საზღვაო მინისტრის გრიგორი-ჩის გადადგომის შესახებ ხმები სიმართლეს მოკლებულია.

— ალბანეთის დელეგაცია პრინცი ვილის კოლონიზაციას წარუდგა.

— ნოვოგოროდის მახარაში ებრაელის გარკვევის სახში შეიარაღებული უჩაღდები შევარდნენ. მოკლეს გარკვე, მისი ცოლი და ორი სტუმარი.

— ცარსკოე სელოში მეფის თფილისის სამოსამართო პალატის პროკურორი წარუდგა.

სიანი და სახეიშო იქნეს. შემოსავალს საღამოსი კრიდ საგულისხმო საქმეს უნდა მოხმარდეს: მომავალი კომერციული საწარმოებისთვის საჭირო თანხის გამოკრება.

◆ ჩვენი საადგილო-მამული ბანკის ზედამხედველი კომიტეტის შემადგენლობაში მომავალი არჩევნების დროს ცვლილებას მოილოდნენ. ამბობენ, ზოგი ძველი წევრი ამ კომიტეტისა თავს ანებებს სამსახურს და ნაცვლად ახლებს ასახელებენ კიდევ.

◆ საადგილო-მამული ბანკი თავჯდომარეს თ. მ. ფილავს და ზედამხ. კომიტ. წევრს ვ. ქილაძეს ეტერბურგს გზავნის ბანკის საქმეების თაობაზე.

◆ შავიქვის მრეწველთა საბჭო თანახმაა საზოგადო კრების გადაწყვეტილებისა შევამდგომლოს რკინის გზის მართვლობის წინაშე, რომ ქიათურის შტოზე სამგზავრო მატარებელთა ვაგონებში გაუმჯობესდეს განათება; გაფართოვდეს სადგურებზე მგზავრთათვის დაწინაურებული სამუშაოები ქიათურაში და დარკვეთში; შემოღებულ იქნას ქიათურის შტოზე მეოთხე კლასის ვაგონები მგზავრთათვის.

შავიქვის მრეწველთა საბჭოს განზრახვა აქვს ქიათურაში გააშენოს საზოგადო ბაღი. ამის შესახებ საბჭოს მდივნი ექნება მსჯელობა.

◆ მთლიანად შეიღებულა ზეგარეული და შიდა ლეკები „აფხალო“ და „ეფრაიმა“ და „როსტომის“. ლეკები უკვე იბეჭდება და ერთ წიგნთან გამოვა ამ მოკლე ხანში. ეს მეორე ხალხური გამოცემა (პირველი „ამირანის“ ლექსები), რომლის გამოცემაც სიახლოვედით ასანაშავია და უკრადლების ღირსია.

◆ ამ სამი თვის წინათ დაპატრირებული, გაზ „მერცხლის“ თანამშრომელი შალიკო აბულშელიშვილი, მეფის მოადგილის განკარგულებით, ასტრახანის გუბერნიაში იგზავნება.

◆ საფიქრიაზე ტუბულის რკინის დაზოგის ლ. დოლაბერიძის ცოლმა მოკლა მეზობლის ქალი, რომელთანაც თავის ქმრის კავშირი ეგულებოდა.

◆ შაბათს ქალაქის თვითმართველობის ფინანსური და სამხედრო კომისიის სხდომა შესდგება, სადაც უკანასკნელათ იმსჯელებენ 5. ნიკოლაძის პროექტის შესახებ.

◆ დღეს, 13 თებერვალს, ქუთაისის ქართული გიმნაზიის მე-6 და მე-7 კლასის მოწაფენი საექსკურსოთ მიემგზავრებიან გელათის მონასტრის დასათვალიერებლათ მასწავლ. ბერიძისა და ბ. ი. ი. ოცხელის ხელმძღვანელობით.

თფილისი.

ყვენობა, როგორც მკითხველებმა იცნან, საქართველოში ყვენობა გადავარდა მთავარმართებლის გაცხადების დროიდან. ქალაქის გამგეობას ახრათ აქვს, ყვენობა კვლავ აღადგინოს. ამის გამო ქალაქის მოღვაწის მოადგილე თ. დი. ა. მ. არღუთინსკი-დოლაგოროვი საქართველოს ეგზარხოს ლექსისთან იყო, რომელმაც საწინააღმდეგო არა დანიხა რა, რომ ყვენობა გაიმართოს, მხოლოდ შავ ორშაბათს კი არა, როგორც წინათ იყო, არამედ ყველდღიურად შაბათს. გამგეობამ შესაფერი ნებართვა უკვე სთხოვა თფ. გუბერნატორს.

◆ სამღვდლოების კრების თავჯდომარემ საქართველოს ეგზარხოს გადასცა მთელი ოქმები კრებისა, სამღვდლოების დეპუტატთა ხელმოწერით. სხვათა შორის, წარუდგინა ის მასალა, რომელიც შეეცებდა ძველ ნაშთ ადღენის საკითხს. მოგვყავს ეს მასალა აქვე: 1) უმაღლესი მთავრობა უმაღლესათ დამტკიცებულ 1810, 1811 და 1814 წ. დებულების

ძალით წმინდათა ემსახურებოდა შენაწირი მიწების გაფორმების მიზანს, აფასებდა რა დიდთ მნიშვნელობას ამ ნაშთების პატრონ საქრისტიანო კუთხისათვის. 2) უკვე შედგენილი მოხსენებაზე, სადაც გენერალ-გუბერნატორს სიბაიგის მოყვად სია ამ ნაშთთა, ხელმოწევი იმპერატორმა 20 იანვარს 1828 წელს კეთილ ინება ებძინა. უკვე სინოდისათვის, რომ მას უკრადლება მიეცია როგორც ამ ნაშთების გაფორმებისათვის, ისე ამ საეკლესიო შემოსავლის წესიერათ მოხმარებისათვის და აგრეთვე მიეღო საჭირო ზომები ამ ნაშთთა ღირსეულ სახის შესანახათ და თანაც გამოეცხა მიწები, დღევანდელ მათ რევუა წადენისა. 3) ამ უმაღლესი ნების თანახმად ადგილობრივ სასულიერო მთავრობას 1832 წელს დაეწესა საქართველოს სიძველეთა მოწესრიგების საკითხის შემუშავება და დაწესება. ეს მოწესრიგება დაიწყო მცხეთის ტაძრიდან და შემდეგ სხვა ქალაქ დაბა სოფლებში. 4) მეოთხე მთელი უმაღლესი უმაღლესი სენატის უკანას 13 ნოემბრის 1869 წლის ხმობს: „სასულიერო უწყების ჯილდოთ, ნაცვლად ყველა ამ ნაშთების მიწათა შემოსავლისა, რომელიც ხაზინაში შედის, დენიშნოს ყოველწლიურათ ხაზინიდან 76,000 მანეთი; ეს თანხა კი დღევანდელის მანეთის დამხმელობით 100,000 მანეთს უდრის“.

მეცთამის გასწორება:

გუშინდელი „ერის“ ნუმერში ქ. მოღრაის ილ. ჩიკოვანის წერილში, მეორე სვეტში, მერვე სტრიქონში ზვიდან სწერია—800 მ. გარდა, უნდა იყოს—600 მან. გარდა.

წერილი თფილისიდან.

ხშირათ მსმენია ქართველებისაგან: „ჩვენ კულტურული ხალხი ვართ!“—და სხვა. მაგრამ, არა მგონია, რომელსაზე ყოვლად უფულურთ ერსა ყვდეს იმდენი და ისეთი უფულურთ წევრები, როგორც ჩვენა გვყავს. ამ დღეებში საუბედურთ ერთს ოჯახში მომიხდა მისვლა. ქმარი რუსი იყო, ცოლი კი—ტომთი ქართველი. მაგრამ იმ დროს როდესაც ქმარი გავრინათ ლაბარაკობა ქართულათ, ქალს სამშობლო ენა სრულდებით დაიწყებოდა. აქვე იყო მათი ნათესავი „ქართველი ქალი“ და აგრეთვე რამდენიმე რუსი სტუმარი. ჩამოვარდა ლაბარაკი იმის შესახებ, თუ სად უკეთესი საცხოვრებელია.

— ოხ, როდის იქნება, წავიდე მოსკოვს (ბასი რასაკერვლია, რუსულ ენაზე), ისე მომზებრდა აქ ცხოვრება—ტურების პრეზვიტ, და პრანკვა-გრებით წარმოსა თქვა ნათესავმა ქალმა სტუმრებმა იოცეს და გაკვირვებით გადმოხედეს ქალს.

— ნუ, თუ შეიძლება ეს საუცხოო ბუნება ეს სიმშენიერის სიუხვე კაცს მომზებრდეს! აფრთოვანებით წარმოსთქვა ახალგაზდა აქიმმა.

ოხ, თქვენი რომ იცოდეთ, რა ცუდი ხალხია ქართველები! სტუმართმოყვარეო, ამბობენ, მაგრამ ეს გულწრფელობა როდია!.. და მოყვა „ქართველი ქალი“ ქართველების გინებას.

ძლიერ გულნატკენი დავრჩი, რა ჯეროვანი პასუხი ვერ გავეცი ამ უბედურ აღმინას; მაგრამ ერთი კი იყო სასიამოვნო: გავიგე, მალე ემირება წასვლისა სამშობლოდან და გულში გავიფიქრე:— „წინ წყალი, უკან მუწყარი...“

„წასვლა იანი, მოსვლა გვიანი-მეტი“!.. განა ცოტა დარჩება ასეთები ჩვენს საზოგადოებაში? „სახალხო გაზეთის“ ერთერთ ნუმერში სწერდენ, შუა ქართ-

ლის სოფელში მასწავლებელი ქალი როგორ ამღერებდა ბავშვებს „იოლოჩკა, იოლოჩკა, კაც მი ტებე ლიუბიმ“ს, და როდესაც უსაყურეს ამ მასწავლებელს კნ. ამილახოვისა, მან რუსულ გაზეთში პრეფექტური წერილით გასცა პასუხი: „მე სახელმწიფო ენას ვასწავლი; ქართველმანტი კი ამის წინააღმდეგია“. ახლა თფილისის ვითა მეორე გიმნაზიის ქართველ მოწაფეთა ზოგიერთმა მშობლებმა განაცხადეს: „ქართულ ენას ნუ ასწავლიან ჩვენს ბავშვებში“. ნუთუ კიდევ შეიძლება ამაზე მეტი უფულტურება და გაბირტყვება? პოლონეთში რუსის შკოლებს ბოიკოტი გამოუცხადეს, ფინლანდიაში არც კი იციან, რაა რუსული ენის სწავლება, ჩვენში კი ქართველი მშობლები უარს ამბობენ საშობლო ენის სწავლებაზე. ნუთუ შეიძლება ასე დაგვიტყვას, წარმოსადგინა ეს თორემ შესაძლო ყოფილა, წარმოსადგენი! რატომ არ იქნება წარმოსადგენი, როდესაც უკეთესი მაგალითები გვაქვს. როდესაც ბელგიაში ლენინი ტერიტორიულ-ავტონომიის მომხრეობას აცხადებს, ვიღაც უცხოელი ამბობს: „ჩემივე ცნობები მომავალა—ქართვლებს ტერიტორია არ აქვს. განა შეიძლება ასეთი ზოგოვანობის შემდეგ სხვა რომ გაუკვირდეს კაცს? სწორეთ მართალი არიან ის მშობლები, ალბათ ისინიც სოციალდემოკრატები თუ იყვენ და დაუჯერეს ჩემიძის ცნობებს. თუ ტერიტორია არა გვაქვს, აღარაფერი არ გავაჩნია, რაღა საჭიროა ქართული ენის სწავლით თავი ატვირთ ბავშვზე? ასეთია მათი ფსიხოლოგია. და რა გასაკვირია, რომ უცხოელებმა აგრე გავიხრან. თუ ჩვენ არ ვიცით თავისთავის პატივისცემა, სხვისაგან როგორ შეგვიძლია მოვითხოვოთ?

მაგრამ ყველაზე საგულისხმო ამ მხრით ქართველი სამღვდლოების კრებები იყო. იმერეთის სამღვდლოებმა ხო „ბიჭობა“ გამოიჩინა, და წარმოსთქვა თუ არა სიტყვა „ეკლესია“, შიშით კინაღამ სული გასცო. რომ ეპისკოპოზი გიორგი არ მიშველებოდით და დღეობა იკრიბნენ ამოშავილთ უმაღლესი მთავრობის წესისა, სამღვდლოება უბერხურ მაგომარებაში ჩაედგნებოდა... რადგან ვინ გაბედადა რამეს თქმას ამით წინააღმდეგ, ვისი „სალამურის“ შემწეობითაც მუცელი გამოშდარი აქვთ. ქართლ-კახეთის სამღვდლოება ჩამოიჩინა დასავლეთ საქართველოს „მშებს“. ორივემ ერთმანეთს მხარი დაუშვეს. იმდენი უფერული იყო ბოლო ამ კრებებისა, რომ ბოლოს რა მოხდა არ ვიცო; მგონია, წარადგინეს თხოვნა, რომ დააბრუნონ დღევანდელი ჩვენი ეპისკოპოზები. მაგრამ განა შეურაცხყოფა არ არის სიმართლის გამო დგენილობის, რომ ჩვენი ღირსი სამღვდლოების თხოვნით დააბრუნონ? განა ვიღაც უტყბო რუსი ნ. დურნოვო, ისიც უკიდურესი მემარჯვენე ღვთის მორწმუნე, უნდა ამხელდეს ქართველ სამღვდლოებს, რომ მათ თავისივე თავს უნდა დააბრუნონ ავტოკეფალიის დაკარგვა? ახლა მეტი არა დარჩენიათ, უნდა აქონ უფროს... და ამასობაში, სადაც კი თავისუფალი ადგილები იყო და ქართველები თხოვლობდნენ, პასუხი მიიღეს: „ჩვენ ჯერ ჩვენი კანდიდატები გვაყავს“. იმედია, მომავალშიც არ მოაკლდება ჩვენს სამღვდლოებას ასეთი „წყალობა“.

ჭანჭი.

ჩვენც დავაფასოთ!

(სახალხო მასწავლებელთა საგულისხმოთ)

ბევრჯერ წამიკითხავს რუსულს პედაგოგურ ჟურნალებში, რომ რუსეთის სოფლებში დასახლებულ სახალხო მასწავლებელთათვის თავის კოლეგებსა და საზოგადოებას გაუმართავს იუბილე და აუნიშნავთ 30—35 წლის განმავლობაში მათი პატიოსანი სამსახური და ნაყოფიერი შრომა. ჩვენში სახალხო მასწავლებელთა ცხოვრებიდან ჯერ ამგვარ მოვლენას არ შეგვსწრებია. პირაქით, მასწავლებელი ჩვენს დაბა-სოფლებში ბევრ სხვადასხვაგვარ დამკირებას განიცდის. (თუმცა ხშირია იმეტი, რომ უმეტესობა მათგანი არ არის თავის „აღილზე“ და ვერც იცავს თავის პოზიციას). ჩვენს პრესაში სახალხო მასწავლებლებზე დღეს ბევრი იწერება და მართლაც, ვინ არ ხედავს, როგორი უცვლელი მოკლე გზა-

ზე უხდება სახალხო მასწავლებელს მრავალ წლებით სამსახური, რომლის დროსაც სიცოცხეს, შიშხლოს, სიშიშვლეს, დევნას, დამკირებასა და, მრავალგვარ გაპიგებას ითმენს. ღიაბ, ძნელია ეკლავან გახე სვლა სახალხო მასწავლებლისა! რამდენჯერ ის ჩაგარდნილა სასოწარკვეთილებაში, რამდენი სიმწარე უგვმია, მაგრამ არ დაუქარგავს სულის სიმხნვე, არ ეცემა—და იმ იმედით, რომ კეთილ საქმეს ემსახურება, ის. მაინც არ დალატობს ერთჯერ არჩეულ მიზანს და განაგრძობს მძიმე უღლის წევას.—ამ უკანასკნელი 5—6 წლის განმავლობაში, არა მარტო საზოგადო მოღვაწეთა, არამედ სასულიერო უწყებათა, ვეპილთა, აქიმთა და სხვა დაწესებულებათა წრეებშიც, დამსახურებულ პირებს უმართვენ იუბილეს, დღესასწაულობენ იმათ 30—35 წლის თავის სამსახურს, ულოცვენ, მადლობას ეუბნებიან და ამინებენ. განა ისეთ მასწავლებელს, რომელსაც 30—35 წელი გაუტარებია სახალხო შკოლაში, პატიოსნათა და ერთგულათ უმსახურია სანახევროთ მშვიდი კუპით და ნაყოფი მოუტანია, საზოგადო მოღვაწე არ ეწოდება? განა მას თუ იმავე დროს მგონსა-ლტერატორისა და მსახიობის ნიჭი არ შესწევს, საზოგადოებას სამსახურს არ უწევს? მე ყოველი სახალხო მასწავლებელი არა მყავს აქმხედებლობაში; მხედვლობაში მყავს მხოლოდ ისეთი მასწავლებელი, რომელიც 30—35 წლის განმავლობაში ასრულებს ნამდვილი მასწავლებლის მოვალეობას და მიზნათ დაუსახავს გულწრფელი სამსახური საზოგადოებისადმი.

დღეს ჩვენში მოიძებნება ასეთები და გვამთავს ამასთან მასწავლებლები ჩვენც დავაფასოთ, გავუმართოთ მათ იუბილე, მივულოცოთ, მადლობა გამოვუცხადოთ, გავამხნეოთ და გავახალისოთ, თან სხვათაც ვაჩვენოთ ამით, რომ ისინი წმინდა საქმეს ემსახურებიან, და რომელიც კი პატიოსნათ შეასრულეს თავის მოვალეობას და მოწოდებას, იმისი შრომაც დაფასდება. ეს იქნება ყველაზე უკეთესი ჯილდო სახალხო მასწავლებლებისათვის.

ლ. დ. ნ. ზნუნელი.

გაქვლითი სიტუაციის შეიშნა.

(დასრულა, ახ. „ერა“-ს 33-ე №).

დაბეჯითებით ლაბარაკობენ, რომ უმთავრესი ბელადი, სულის ჩამდგმელი იმ კამპანიის, რომელიც ასეთი ენერგიით მაქიაქებს და მახახებს გაზეთის საშვალეობით, ერთი ჩვენი გამგეობის ყოფილი მოსამსახურე, უბრალო მეწარმეა აისო. თურმე, ნუ იტყვი, ძალიან გაბრაზებულია ქალაქის გამგეობაზე და პირადად ჩემზე; ამ საბრალო აღმინას შურისძიების, ენის ამოსაყრელ იარაღათ გაუხდია გაზეთი და მის ფურცლებზე ყარამალებს გადადის. მარწმუნებენ იმაშიც, რომ ის გულმოსული გვებატონი იგივე „მოქალაქე“ და „გაწმენდილია“; მაგრამ ერთი რამ მაკვირებს: მე ვიცო, რომ იმ მოსამსახურე გამგეობაში ყოფნის დროს არც ერთს ენაზე ხეირიანი, დღოგებული არც ლაბარაკი და არც წერა იკოდა. რა მანქანებით უნდა მომხდარიყო ის, რომ მან ასე მალე გაზეთში დალაგებული წერა ისწავლა. ეს საოცარი მოვლენა მით აიხსნება თურმე, რომ იმ გამგეობის ყოფილი მოსამსახურის ნაწარმოებს ძალზე აშოაზინებენ, ასწორებენ რედაქციაში ეს შესაძლებელია.

მერე არ იკითხავთ, რა დავაშავეთ, რა შეესცადეთ იმ დავაშიან მოსამსახურეს გამგეობაში ან მე? მართალია, მან ადგილი დაკარგა გამგეობაში, მაგრამ განა ამის მიზეზი ჩვენ ვიყავით? მოისმინეთ მოკლეთ მისი ისტორია და დასდეთ თქვენი სამართლიანი მსჯელობა ჩვენს მოქმედებას.

ის ვებატონი მსახურობდა გამგეობაში მწერლათ რამდენსამე წელიწადს. თუმცა არც დიდი მწიგნობარი და არც ხეირიანი მწერალი იყო, მაგრამ ყველაფერი ამტანი და მომთმენი გამგეობა მაინც გუობდა და ინახავდა; ფიქრათაც არ ქონია მისი სამსახურიდან დათხოვნა. ერის მისთვის უბედურ დღეს, იმ ხანებში, როდესაც სახელმწიფო სათათფიროს უკანასკნელი ზარკენები სწორა მოგებდა, მას დაბრალდა ბოროტმოქმედება, რომელიც შეეძნა მიზეზი მისგან გამგეობაში ადგილის დაკარგვისა. მას დაბრალდა გამგეობის ბეჭდის მოპარვა

რადაც საქმისთვის ეს შეტყუება გავიგნატორმა, რომელიც ჩემისა და გამგეობის უკითხავით, შეუტყუბინებლათ პირიციის უბნად ჩვენი მოსამსახურის პირადარი ციხეში შეტყუდა.

როცა გუბერნიის მთავრობის წინაშე ეს ამბავი შეიტყვე, —გუბერნიის მთავრობის განხილვით, —ძალიან ადვილად, რადგან ამგვარს პოლიციის მოქმედებაში დავიხანე ჩემი შეურაცხყოფა, როგორც ქალაქის მოურავისა. ჩემს მოსამსახურეს, როგორც ავაზაკს, ციხეში ავაზინდნ და მე კი არაფერს მკითხვენ-მეთქი. და კიდევ, როცა შესაგნობი შემთხვევა მომეცა, გავუცხადე გუბერნატორს ჩემი უკმაყოფილება ამ მთავრობის მიმართ, მაგრამ ვერას გახედნი. გავიგე, რომ სრულიად დარწმუნებული იყო იმ მოსამსახურის მიმართ დანაშაულობაში.

გაიარა ორ თვეზე მეტმა, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ მრავალი სწავალი საქმე მოითხოვდა ჩემგან იმ ციხეში დატუსაღებული მოსამსახურის ადგილზე დაუყოვნებლივ სხვის დახიშვნას, მე არავინ დამინიშნავს დაქვრილი მოსამსახურის მოლოდინში; ბოლოს კი მოვიწვიე ახალი მოსამსახურე, რადგან ხმა გავრცელდა, რომ გუბერნატორი დატუსაღებულ მოსამსახურეს ქუთაისიდან გადასახლება უბირობსო. გაიბრა რამდენიმე ხანმა და სრულიად მოულოდნელათ გათავისუფლა გუბერნატორმა ტუსადი სხვა მის ამხანაგებთან ერთად. ის მაშინვე გამოცხადდა გამგეობაში, შემოიჭრა ჩემს კაბინეტში და კატეგორიულათ მომთხოვა ადგილის დაკრება. მე იძულებული შევიქნე ბოლიში მომეხდა და გამეხარა მისთვის, რომ მას დიხანს ვუცადეთ და მხოლოდ მაშინ მოვიწვიეთ მის ადგილზე ახალი კაცი, როცა გავრცელდა ხმა მისი გადასახლების შესახებ.

და აი, სწორეთ იმ დროიდან იწყება იმ გამგეობის ყოფილი მწერლის ახალ როლში მოვლინება; გაზეთის თანამშრომლის თუ რეპორტიორის როლი დაიგნა და უსათუოთ სხვა რეპორტიორებთან ერთად საბჭოს სხდომებში ეხადილია ვითომ სტოპის ანგარიშის შესახებ.

ეს უცხოური აღმინა, რკინისა და წერის ძალიანი სუსტი მკოდენ გამგეობაში ყოფნის დროს, სასწაულებრავ ქურნალისტათ გადაიქცა მოკლე ხანში და მოვევინა ჩვენს საბრალო პრესას შესარცხვენათ, შესაგინებლათ.

მოსამსახურეებს რისთვის არ გამოაძეგბო! აია, თქვენდარ არ მიკვირს! იმ ერთისთვისაც არაფერი დავგეშავებია, თვითონვე დაუშავა თავის თავს და მაინც ლამის აგვიკლოს გინებთა და ცილისწამებით; როგორღა დავგედგომებოდა ქვეყანაზე, რომ მთელი ხროვა გაბრაზებული მოსამსახურეებისა შემოგვსოდა! მაშინ ხომ უფრო აქოთდებოდა პირი ბინძური ლანდლა-გინებთა, მაშინ ხომ ახალი „დანოსები“ თავის უსირცხვილობით დარდილავენ, დავაგვიწყებდნ იმ სამაგალითო „დანოსს“, რომელიც ამ ცოტა ხანში ქუთაისიდან მოსულია მეფის მოადგილეს. ექნება, თქვენ არც კი იცით იმ „დანოსის“ შინაარსი, რომელიც არცხვენს უნდა ასახსნ უწინარესი ყოვლისა მის უბედურეს, მის გათახსირებულ ავტორს. გონება მიხდელი, საცოდავი მაზელარი ემუდარება მეფის მოადგილეს, რომ მან ფიცხელი განკარგულების მოხდენა ინებოს, რათა მთავრობამ სისტეკი რევიზია უყოს მოკრტომქმედ ქუთაისის ქალაქის თვითმართვლობის, რომელიც ისე გათამამდა, რომ სამილიონი სესხის აღება ავირობს, რადაც მუნიციპალური საქმეების განსახორციელებლათ. აი, რა საოცარი ამბავს სწერს გაბოროტებული მებელარა მეფის მოადგილეს:

„თქვენო ბრწყინვალეობა! ქუთაისის ქალაქის თვითმართვლობა ახლა ქართვლი ნაციონალისტ-შოვინისტების ხელშია; ისინი სცარცხვენ ქალაქის კასის ქალაქის ყველა საქმე დალუბის კარამდ არის მსული. ეს ვითომდა მოღვაწენი კიდევ ბედვენ თავის ორგანო „იმერეთში“ კიბიტვა გაუქმონ თქვენი ბრწყინვალეობის მოღვაწეობას კაცკასიაში; კიბიტვა გაუქმონ თფილისის პოლიტენიკუმის ასაშენებლათ ასი ათასი მანეთის უბეს შემომწირველს“.

ამ დიდებულ „დანოსს“ ვითომ ხელს აწერს „ქუთაისის მცხოვრები ერთი ხმო-სანთავანი“. ამ „დანოსთან ერთად მეფის

ლევანთა კრებაზე ინოვაციების სე-
კიში მონაწილეობას ღებულობდნენ.
— ხმები, სახელგანთქმის გარდა-
დგომის შესახებ, საფუძვლის მოკლებუ-
ლია.
— სახელმწიფო საბჭოში კამათი გელო-
დება ლოთობის წინააღმდეგ.
— ვარაუდები შენაგან საქმეში მი-
ნისტრის დაწესებულებისა და სასული-
რო უწყებებში მიერ მიღებული ცირკუ-
ლარული განკარგულება, — არავითარ
შემთხვევაში არ მოხდეს შეგნების პა-
ნაშვილის გადახდა.

თეკლათის დედათა მონასტერში ყველი-
საგან მომხდარი უბედურების გამო.

7 თებერვლის, დილის რიგგარეშე, რო-
ცა ის იყო თენდობდა, თეკლათის დე-
დათა მონასტერში ცეცხლი გაუჩნდა,
ჯერ კიდევ კარგად გამოურკვეველი მიზე-
ზის გამო, წინამძღვრისა და ღვთისმეტყვე-
ლის ახლო აშენებულს ორსართულიან უზარ-
მაზარ სახლს, სადაც ბინა იყო მონასტ-
რის წინამძღვრის ნინოსი, წინამძღვრით
ყოფილის ეკატერინესი და ჩვილმეტი
მოლოზისა. იგუშენია ნინო სუსტად
გრძნობდა თავს და ცისკარზე წასვლა
ვერც შესძლო თუარე, იგუშენია ეკატერინე-
ნაკი დიდის ხნიდან ავთიმყოფობის და
იგიც სახლში დარჩენილიყო. დანარჩენი
მოლოზები, ყველა წასულიყო ეკლესი-
აში. როგორც კი ცისკრის ლოცვა და-
უწყდა, იგუშენია ნინო ამდგარა ლო-
გინიდან და თავის ოთახში დაუწყა ლო-
ცვა. ამ დროს იატაკიდან კვამლის სუნი
უგრძნობდა და შემდეგ კვამლიც შეუშინე-
ვია. იგუშენია მყისვე გავარდნილა გა-
რეთ და შეტრიალა ქვემო სართულში.
ფანჯრიდან ოთახში შეუნიშნავს, რომ
ოთახის კედლებს სრულად მოდებული
აქვს ცეცხლი. შეშისგან ელდა ნაცვამს,
იგუშენიას დაუწყა ყვირილი და მშვე-
ლელთა ხმობა. ავარდნილა ისეა ზემო-
სართულში, აუყენებია ავთიმყოფი იგუ-
შენია ეკატერინე და მოლოზებიც გამო-
ურგვია ეკლესიიდან. ძლიერ შეეცადნენ
ყველა ნივთის ოთახებიდან გამოტანას,
მაგრამ ამათი ცეცხლი ამ დროს უკვე
მოვლდა ზემო სართულსაც და კვამლმა
და მოლმა აბრინ გაუშვა ზეგნით ოთა-
ხებში. მხოლოდ მოახერხეს წინამძღვრის
ოთახიდან მონასტრის კანცელარიის ქა-
ლოლების გამოტანა და ერთი ხელი
ქვეშაგებისა. ეს უზარმაზარი სახლი
რომელიც შესდგებოდა ქვემო სართულ-
ში ბუთი დიდი ოთახისაგან და ზემოთ
რვა ოთახისაგან, თავისი დერფნებით და
განვირა ივნით, იშხვევრლა ცეცხლმა.
იგუშენიასა და მოლოზებს შერიათ მხო-
ლოდ ის ტანსაცმელი, რაც ემოსათ, სხვა
ყველაფერი, ყოველგვარი ქურქები,
ავიჯელობა, საოჯახო ნივთი საკუთარი
და სამონასტრო, იშხვევრლა ცეცხლმა.
ცეცხლი გაჩნდა მოხუცებული მოლოზ-
ნის ანასტასიას ოთახში. მონასტერში
ორი ეკლესია და ერთი აქალო სა-
სწავლებელი ორსართულიანი. ყველა ამ
შენობას მოელოდა დიდი საფრთხე, უზო-
მო შრომა დასჭირდა მოლოზებს, რომ
ეს დანარჩენი შენობა გადაერჩინათ.

ორიოდე სატყეო მკითხველს მინდა
გავაცნო, თუ როგორ აშენდა ის უზარ-
მაზარი სახლი, რომელიც ახლა გადაიწ-
ვა. შარშან, თებერვლის 1 დღეს, დიწ-
ვა ამ მონასტერშივე 12 სახლი. მაშინ
ახლათ დანიშნული წინამძღვრის ნინოს
მწუხარებას სახლგარე არ ქონდა, იმი-
ტომ, რომ დიდათ ძნელი იყო, თითქმის
შეუძლებელიც ფულების შოვნა და მწვა-
რი სახლის გასახლებლათ. უმადლესი
სასულიერო მთავრობა, საკვლამოქმედო
დაწესებულებანი და ქველმოქმედნი უკვე
შეუწყებულა ყავდა იგუშენია ნინოს და
უკვე მიღებული ქონდა იმათგან ფულით
დახმარება ექვსი ათას მანეთამდე, რაიცა
სრულიად მოახმარა 1) მონასტრის უმ-
თავრესი ეკლესიის კაპიტალურ რემონტს
და განახლებას, 2) მეორე პატარა ეკლესი-
ის ახლათ აშენებას (წმ. ნინოს სახელ-
ზე), 3) საქალო სასწავლებლის ორსართ-
ულიანი შენობის შეკეთება-განახლებას
და 4) მოლოზთა საკვლამოსილისა და
ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობე-
ლებას. ხელახლათ შეუწყებდა საკვლამოქ-
მედობა.

მედო დაწესებულებათა და ქველმოქმედ
პირთა ძნელი საქმე იყო. მაგრამ მოლო-
ზების ტირილმა და ჭეშმარიტ მდგომარეო-
ბამ თავისი გაიტანა და იგუშენია ნინო,
გაუმჯავრა პეტერბურგში, პირადათ მო-
ახსენა უწ. სინოდს მონასტრის გაქვერე-
ბა, და შრომითა და მეცადინეობით ჩამო-
იტანა რუსეთიდან ოთხი ათას მანეთამ-
დე, რომელიც შემოსწირეს ჩვენი ქვე-
ნის თანამგრძნობმა შეილებმა და ასეთი
წვადებით შეგროვილი ფულით ააშენა
ის ორსართულიანი უზარმაზარი სახლი,
რომელიც ამ დღეებში ცეცხლის სხვერ-
პლი შეიქნა. ეს სახლი დასრულდა იგუ-
შენიამ სულ ამ ორი თვის წინათ, დაა-
ბინავა შიგ 17-ი უბინაო მოლოზანი და
დაბინავდა თვითონაც. მეტი ხანი არ იყო
და სახლის დასრულებაც ვერ მოასწრო.
სახლი დაჯდა ნაღდი ექვსი ათასი მანე-
თი. დღეს დაიდუბა ყველა ეს, ზარალი
სრულად, დაკარგული ქონებაც რომ ვი-
ანგარიშოთ, აღმეტება ათი ათას მა-
ნეთს.

ეს მონასტერი მდებარეობს დ. ახალ-
სენაკიდან ოთხი ვერსის მანძილზე. იგი
არა მარტო საწმენდების მხრით, კულ-
ტურულათა ძლიერ ხელს უწყობს სა-
მეგრელოს მკვიდრთა წინსვლასა და გან-
ვითარებას. ამ მონასტრის საქალო სა-
სწავლებელში უფსოთ სწავლობდნენ ას-
ოცამდე მოწაფე ქალი გარდა წერა-კითხ-
ვისა, ქრა-კერვას, ნახ-ქოვას, ფესაქმე-
ლების კერვას, მებაგრეშობას, გლო-
ბას და სხვ., რასაც ესენი მერე თავის
ოჯახებში ავრცელებდნენ და ასწავლიან.

ასეთი დიდი საქმე თანაგრძნობისა მო-
თხოვს ქართველი საზოგადოებისაგან და
ამ იმედით სასოებენ, ამ იმედსა ემა-
რება დღეს უბინაოთ დარჩენილი ამ მონ-
ასტრის დედანი.

დაბა-სოფლები.

ს. ჭაბრას-ქედი (გურია, ასკანის საზო-
გადოება). ფრიად სასიამოვნო მოვლენათ
უნდა ჩაივადოს ის ფაქტი, რომ გუ-
რიამ პირველდაწყებით სწავლა განათ-
ლებიში დიდი ნაბიჯი წარსდგა და პირ-
ველი ადგილიც დაიკავა ამ მხრით სა-
ქართველოს სხვა მხარეთა შორის. იგი-
თად შეხვედრით გურიისა იმეო სოფელს.
რომელიც ქართველთა წინამძღვრისა
(და ან სამონასტრო) შკოლა მანდ არ
იყოს. ერთ გამოწვევასთანაა ამ საერ-
თო მოვლენიდან წარმოადგენდა სოფელი
ოქროს-ქედი, სადაც თითქმის არავითარი
კულტურული დაწესებულება არ იყო,
მაგრამ ამ ბოლო ხანს აქაც შეიგნეს,
რომ ყველა უბედურების მიზეზი მათი
უკულტურობაა და, მიუხედავად იმისა,
რომ მცხოვრებთა რიცხვი ამ სოფელში
70 კომლს არ აღემატება, და მათან
წრევანდელი მოუსავლობის გამო, გაქე-
რებულთა, ითხოვს ნებართვა მთავრო-
ბისაგან ორკლასიანი შკოლის გახსნისა და
იქსრეს ყოველი ხარჯი. ნებართვაც მა-
ლე მოუვიდათ და ეკენისთვის დამლევ-
სათვის სწავლაც გაჩაღდა. მაგრამ გასპა-
რიანცის ბეჭდები არც ამ შკოლის ას-
ცდა და, მიუხედავად იმისა, რომ აქ
გამოგზავნილ მასწავლებელს (ერის)
ხაზინიდან უნდა ქონდა ჯამაგირი,
ხალხს მოსთხოვა მასწავლებლის ჯამაგი-
რი. ბოლოს კი აღმოჩნდა, რომ მას უკვე
გამოწერილი ქონდა მასწავლებლის ჯა-
მაგირი ხაზინიდან (და ალბათ ის 360 მ.
„თავისი თანხის“ შესასრულებლათ უნ-
დადა). მიუხედავად სხვადასხვა დაბრკო-
ლებისა, ეს შკოლა მანდ გაიხსნა და
სწავლაც მიდის.
ახლა კიდევ მეორე კარგი საქმისთვის
ზრუნავს ეს სოფელი. მოლაპარაკება

აქეთ წერილი კრედიტის ამხანაგობის
გახსნაზე, რომლის მოწესრიგებაცა და
ჯეროვან ნადავზე დაყენება ევალება
აქაური შკოლის მასწავლებელს.
აქეთ მოლაპარაკება საზოგადო დუქ-
ნის გახსნაზეც და სოფლის სხვადასხვა
საკეთილდღეო საქმეზე.
ვუსურვოთ ამ სოფელს ყველა თავისი
კეთილი განზრახვანი სისრულეში მოე-
ყვანოს, ამ გარემოების ისიც ხალხს შეუ-
წყობს, რომ ამ სოფელში აღმოჩნდა
სპონდონისა და ქვანახშირის მადნები. აქვე
უნდა აღნიშნო, რომ ეს მადნები იაფათა
და მოხერხებით ჩაიგდეს ხელში აქაურმა
ექსპლოატორებმა, „ხათრი“ ჩამო-
ართვეს ხალხს ის სიმდიდრე, რომელიც
შეეძლოთ გაცათ ბევრათ უფრო კარგი
პირობებით.

ა. გ.—ნაბ.

ს. ბახვი (გურია). სამს წელიწადს ს.
ბახვი მამასახლისათ დანიშნული იყო
მთავრობის მამასახლისი 5—6 დარაჯით.
ჯამაგირი ეძლეოდა თვეში 55 მანეთი,
დარაჯებს კი—35 მან. თითოეულს. ამ
ხარჯს თუ მიუმატებთ მათი სადგომი ბი-
ნების გათფობას (კვირაში საცემი შემო-
ბა არ ყოფნიდათ) საზოგადოებას საქმარის
ფულის გაღება უხდებოდა და ისიც ამ
მოუსავლობისა და გაქვირების დროს.
(თვეურათ 350—400 მანეთამდე ეხარ-
ჯებოდა). ოთხ იანვარს, მახრის მართ-
ველის განკარგულებით, გვეწვია ადგი-
ლობრივი მოქალაქე ბ. კელია, რომელ-
მაც გამოგვცხადა მთავრობის მამასახ-
ლისის მოხსნა და უკუამაგირო მამასახ-
ლისის საზოგადოებისაგან არჩევა. ეს
ამხევი ყველას სასიამოვნოთ დარჩა, მი-
უფრო, რომ ხარჯები მოიშორეს ზურ-
გიდან, რომ ლიც მძიმე ლოდივით გვეწვა.
საზოგადოებამ აირჩია მამასახლისათ 5.
ბერძენიშვილი. სრული იმედი გვაქვს,
რომ ბ. ბერძენიშვილი, როგორც მარ-
თალი, შეგნებულა და დაკვირვებული
კაცი, ხალხის იმედებს გაამართლებს და
პირნათლათ შეასრულებს ხალხის ინტე-
რესების მიხედვით თავის მოვალეობას.
სასურველია აქ მცხოვრებნი მოწინავე
ელემენტები, თუ შეგნებული მღვდელი
მიმაძღვენ 10—11 ღონე წინათ ყოფილი
მასწავლებლის კრებულს, რომელიც
თავისი უნაგარო შრომით წინუღოდნენ
ყველა აქაურს კულტურულ საქმეს, დღეს
უკვე მოსპობილს, შეერთებული ძალით
კვლავ გააახლებდნენ და მით ხალხს არ
დაუკარგავდნენ ძვირფასს კულტურულ
ნაშთებს.

დე, სიტყვა საქმით იქცეს. ამას მოე-
ვლით ყველა აქაური შეგნებული პირო-
საგან.

სოზოა.

ლია ბარათი.

ნიკანდრ ასთიანს.
ამ რომენიმი თვის წინათ (როდესაც
ჯერ კიდევ გიმნაზიაში იყავით), თქვენ
ბ. ნიკანდრი იქსრეთ აგენტობა ბ-ნი
სიმონ ქვარიაშის წყნისა: „შოთა რუსთ-
ველი და მისი დრო“. უკვე კვირაზე
მეტია, რაც წიგნი გამოვიდა, ჩვენ კი
ჯერ არ მიგვიღია, როგორც გვიგეგოთ,
თქვენ გამოამცემლისათვის ანგარიში არ
გავისწორებთ. გახოვთ, დღიდან ამ
წერილის გამოცხადებისა, ერთი კვირის
განმავლობაში გამოამცემელს ანგარიში
დაუსწოროთ, რადგან უმისოთ ჩვენ წიგნს
ვერ მივიღებთ.
ამხანაგების მონდობილობით ქართული
გიმნაზიის მოწაფენი: ჯ. ანთაფაძე და იმ.
ბერძენი.

რედაქტორ-გამომცემელი ბ. ბერძენი.

გეგმდება სელოსმოწერა
„სასოფლო გაზეთი.“
24 ნომერი. უკვე შესრულდა მისი არსებობის ერთი წელიწადი.
მიიღება ხელისმომწერა 1914 წლისთვის.
წლიური ფასი 4 მან.
ნახევარი წლის 2 მან.
ფულის შემოტანა შეიძლება ორგან:
2 მანეთი დაკვეთისთანავე, 2 მანეთი პირველ მაისისთვის.
მთელი წლის ხელისმომწერით გაეცხადებათ საფუძვლად ბო-
საყვედ ბალახის თესვების და წიგნაკები.
ფულის გამოგზავნა შეიძლება ადრესით: Кутаись С. Х. Шко-
ла, Александр Давидович Шарашидзе.

კოგელდოური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი
„სახალხო გაზეთი“
(წელიწადი მესამე)

1914 წ. გამოცემა იმეო მრავალმხრივ, როგორც აქამდე გამოდიოდა გვიანათათ
სურათებიანი დამატება
1914 წლ. ხელის მომწერნი, ვინც მთელი წლის საფასურს გადაიხდის მიიღებენ
პრემიას: პირველი წიგნი: ქართული მწერლები: 1 „გვერდები შეგუ“ ისტორი-
კობა 5 მან. ალექ. შანშიაშვილისა. 2. „მამაკადა შარაგანი“ ისტ. რომ. ვ.
ბარნავისა შერეო წიგნი: უცხოეთის მწერლები: „დონ კარლოსი“—ტრავ. შილო-
რისა, თარგმ. გერმან. ალ. შანშიაშვილისა. და სხვ. ნაწარმოებები უცხოეთის
მწერლებისა შესაშვ წიგნი „სამეცნიერო კრებული.“ ორიგინალური და ნათარგმნი
წერილები.
გ ა ზ ე თ ი ს ზ ა ს ი
თფილისში და მის გარე.
12 თ. 11 თ. 10 თ. 9 თ. 8 თ. 7 თ. 6 თ. 5 თ. 4 თ. 3 თ. 2 თ. 1 თ.
88.10წ. 8 მან.— 78.16წ. 68.15წ. 6 მან.— 58. 5წ. 48.10წ. 38.15წ. 3 მან.— 28. 5წ. 18.10წ.— 18წ.
საზღვარ გარეთ.
15მან.— 138.15წ. 128.10წ. 118.5წ. 108.— 88.15წ. 78.10წ. 68. 5წ. 5 მან.— 38.15წ. 28.10წ. 18. 5წ.
ცაგკ ნომერი უკვეაან შურათ: დამატებაში შეიდა გამოცემა.

თებერვლის უკანასკნელ რიცხვებში ადესკოსტოფენდოთ ინციატოვით
გამოცა ქართულ ენაზე სამეცნიერო-სალიტერატურო კრებული
„იცხოვრება და მეცნიერება“

რომელშიც მონაწილეობას იღებენ სტუდენტების გარდა ადგილობრივი უნივერ-
სიტეტში მომუშავე სამეცნიერო ძალები. სულთა შემოსავალი ამ კრებულიდან
გადაიღება ადესის ქართულ საზოგადოების „სასარგებლოთ.“
შ ი ნ ა რ ს ი.
ბრ.—დოც. ს. ავალიან. დრამათო უკვედუდ გუგნათ სკოლაში. ორდინატორი ნერ-
ვაუდ გაწადასა აქამ ს. გიგიაქი: საგარა ტეიანს ფენქეაბზე. მრავალკუთხე
ანტონიურ თეატრის აქამ ბ. კახიანი: ნაწარმუფ ანტონიის შესავადა (უკვედო და
ქსიფილი). ორდინატორი ვენერაუდ კათორაზე აქამ მ. ტეხეაქი: ადამიანის სქესა-
ბრათე ცხოვრება. სტუდენტი ბ. ქაორაქი: ანტონი. სტ. ქ. რაჭველიშვილი. სუბა-
და სელოების შესახებ. სტ. ს. ასლანიშვილი. სამეც-სათაგას სიძველენი. სტ. გ.
კახეაქიშვილი. ასლანიშვილი (შოთა). სტუდ. ცხოვ. სტ. დ. ფედერტი. ბუშის აღზდა.
სტ. გ. ურუშაძე. რადის მნიშვნელობა შედარებაში.
ხელის მოწერა მიიღება ქუთაისში ქ. ოცხელი: და ამა. წიგნის მალაზიაში ალექ-
სანდრეს ქუთა. ზ. კოკრაშვილის სახლი. ხელის მოწერით წიგნი ეღირება ერთი
მანეთი, შემდეგ 1 მ. 10 წ.

ბ. გოგლაშვილი და ს. ნიკიტოვი

ერთადერთი წარმომადგენელი ქუთაისის გუბერნიაში, ბათუმისა და სოხუმის ოლქში
უმაღლესი სასახლის გამოშვებისთვის, ორმა სტუდენტმა მის ნებავ-მადგენის ბუშის მინე-
ბის ქარხნის, მაქცივთ განსაკუთრებული უფრადება მინის უფრადებაში „БЕМСКОЕ“
რეინფორმის მაღაზიაში იმეიდა:
საუკეთესო
ქარხნებისგან
მიღებული რეინფორმის
საქონელი: კარის, ფანჯრის
და ღუმელის მოწოდებლობანი;
საღებროლო ხელსაწყოები, ფანჯრის
მინები, რკინის ნიჩბები, ლურსმანი, მე-
თული, ყოველგვარი საღებავი წამალი,
ელექტრანის ხარის მოწყობილობა, შპალიერი,
ციმენტი, ემალიანი ჭურჭელი, ასფალტი და სხ.
ვაჭრობა პარკითა და წყაროლათ ხელმისაწვდომ ფასათ.
ქ. ქუთაისში, საკუთარ შენობაში, მსხვილის ქუჩაზე № 65

რკინის გზა.

ქუთაისიდან მიდის ქუთაისის მოდის.
თფილისი: სახალხო დილის 10 საათ. 6 წ. თფილისიდან: სახალ. დილ. 7 საათ. —
ფოშტის დილის 11 საათ. 55 წ. ფოშტის საღმ. 6 საათ. 55 წ.
სახალხო ღამით 11 საათ. 27 წ. სახალხო ღამ. 1 საათ. 28 წ.
ბათუმის: სახალხო დილის 5 საათ. 10 წ. სახალხო ღამით 11 საათ. 14 წ.
სახალხო ღამით 11 საათ. 27 წ. სახალხო ღამ. 1 საათ. 27 წ.
ფოშტის საღამოს 5 საათ. 21 წ. ფოშტის დილით 1 საათ. 20 წ.
ზოთის: სახალხო დილის 4 საათ. 22 წ. სახალხო ღამით 1 საათ. 26 წ.
სახალხო ღამით 5 საათ. 10 წ. ფოშტის დილით 5 საათ. 21 წ.
ზოთის: საგარეო დილით 4 საათ. 57 წ. სახალ. ღამით 1 საათ. 26 წ.
ზოთის: საგარეო დილით 4 საათ. 57 წ. სახალ. ღამით 1 საათ. 26 წ.
ბათუმის: სახალხო დილის 7 საათ. 50 წ. ბათუმიდან: საღამოს — 5 საათ. 11 წ.

ბ ი ლ ე თ ი ს ზ ა ს ი:
II კლ. III კლ. II კლ. III კლ.
მან. კაბ. მან. კაბ. მან. კაბ. მან. კაბ.
თფილისი — — 4 31 2 87 ბაქოში — — 10 81 7 20
ბათუმი — — 8 5 2 3 მოსკოვში — — 27 90 18 65
ფოთში — — 2 21 1 47 პეტერბურგში — 33 31 22 20
ქათურაში — — 1 76 1 17 ვარშავაში — — 31 50 21 5